11.01.12№ 12/175157-13

თბილისის არქიტექტურა

№ _____

მოქ. ლევან მამისაშვილს
მის. თემქა, 3-ე მ/რ, IV კვარტ. კორპ. №53, ბ. 39
ტელ. 597 99 12 09

ბატონო ლევან,

თქვენი 21.12.11 №12/175157-13 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქ. №48ბ-ში, ჩოლოყაშვილის III ჩიხი, №4-ში, №50ა-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.060.027, 01.17.12.060.029, 01.17.12.060.030) და მიმდებარე ტერიტორიისთვის, სასაწყობე შენობის განთავსების მიზნით ფუნქციური ზონის სტატუსის – სატრანსპორტო ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 1-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით ცვლილებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2011 წლის 29 დეკემბრის №50 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც ფუნქციური ზონის სტატუსის (სატრანსპორტო ზონა 1-ის სამრეწველო ზონა 1-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით) ცვლილებას მიეცა თანხმობა. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით, წერილობითი ფორმით.

აქვე გაცნობებთ, რომ ამ დოკუმენტაციის ციფრული ვერსია, შეგიძლიათ იხილოთ პორტალზე: www.tbilisi.gov.ge/ ჩანართი – თბილისის არქიტექტურა და აგრეთვე www.tbilisi.gov.ge/architect/.

დანართი: "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" 2011 წლის 29 დეკემბრის №50 სხდომის ოქმიდან ამონარიდი.

პატივისცემით,

ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის
გენგეგმის მართვისა და ქალაქგეგმარების
განყოფილების სპეციალისტი თ. კაციტაძე

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.(+995 32) 72 22 22 ფაქს.(+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect